აფხაზეთის მთავრობის
დადგენილება N 6
2008 წლის 3 ივნისი ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის კანონის მე-5 მუხლის ,,ბ" პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 1 თებერვლის N9 დადგენილება ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ".
3. დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტები ძალაში შევიდეს 2008 წლის 1 ივლისიდან.
4. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე *მალხაზ აკიშბაია*

დამტკიცებულია აფხაზეთის მთავრობის
2008 წლის 3 ივნისის N6 დადგენილებით

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი) აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებაა და "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ხელმძღვანელობს მმართველობის მისთვის მინდობილ დარგებს, ან ახორციელებს დარგთა შორის მართვას და ექვემდებარება, როგორც აფხაზეთის მთავრობას, ისე საქართველოს შესაბამის

სამინისტროს. ასრულებს კანონით განსაზღვრულ, ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის მიერ სამართლებრივი აქტის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

2. თავისი ამოცანების განხორციელებისას დეპარტამენტი წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას.

3. დეპარტამენტი თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონით, ამ დებულებით, საქართველოსა და აფხაზეთის სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

4. დეპარტამენტს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, სათანადო ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, მრგვალი ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების აღნიშვნით _ "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი" (ქართულ და აფხაზურ ენაზე).

5. სახელმწიფო გერბის გამოსახულება გამოიყენება დეპარტამენტის ბლანკზე.

6. დეპარტამენტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N16.

მუხლი 2. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

1. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, თანამშრომლობს საერთაშორისო (სამთავრობო, არასამთავრობო) ორგანიზაციებთან.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად, უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, მიღება-განსახლების, გადაუდებელი პირველადი დახმარების, დასაქმებისა და ადაპტაცია-ინტეგრაციის ორგანიზებას.

3. მონაწილეობას ღებულობს ჰუმანიტარული დახმარების პროგრამების შემუშავებასა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კონტროლს მათ შესრულებაზე.

მუხლი 3. დეპარტამენტის მოვალეობანი

დეპარტამენტი მოვალეა:

1. წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობისა და ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. უზრუნველყოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესრულება.

3. შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას დაუყოვნებლივ მიაწოდოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დამატებითი ინფორმაცია დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ.

მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელსაც კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.
2. დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს ორი მოადგილე, რომელთაც დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.
3. დეპარტამენტის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 5. დეპარტამენტის თავმჯდომარე

1. წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას და წყვეტს დეპარტამენტის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ ყველა საკითხს.
2. წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას.
3. ხელს აწერს დეპარტამენტის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებს.
4. კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს.
5. ამტკიცებს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს.
6. განსაზღვრავს მოადგილეების ფუნქციებს.
7. თვალყურს ადევნებს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას და ამ დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობაზე.
8. აფხაზეთის ავტონომიური რესუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე და, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებითი ბიუჯეტის პროექტს, იღებს გადაწყვეტილებას საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზანშეწონილად შესრულებისათვის.

9. პასუხისმგებელია საქართველოსა და აფხაზეთის მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესრულებაზე.

10. მმართველობის სფეროში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქმნის სათათბირო ორგანოებს – კომისიებს.

11. კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

12. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ.

13. მონაწილეობს აფხაზეთის მთავრობის სხდომების მუშაობაში.

14. ახორციელებს საქართველოსა და აფხაზეთის კანონებით, მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე, ამ დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებს.

მუხლი 6. დეპარტამენტის სტრუქტურა

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) დეპარტამენტის თავმჯდომარის აპარატი;

ბ) ადმინისტრაციული განყოფილება;

გ) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;

დ) დევნილთა განსახლებისა და სოციალური დაცვის განყოფილება;

ე) ჰუმანიტარული დახმარების განყოფილება.

მუხლი 7. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

1. დეპარტამენტის თავმჯდომარის აპარატის ფუნქციებია:

ა) დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განხორციელების კოორდინაცია;

ბ) თავმჯდომარის დავალებების შესრულებაზე კონტროლი;

გ) თავმჯდომარის ცალკეულ დავალებათა შესრულება;

დ) მოქალაქეთა მიღების ორგანიზება.

2. ადმინისტრაციული განყოფილების ფუნქციებია:

ა) საქმისწარმოების განხორციელება და, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციაზე და დოკუმენტაციაზე საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფა;

ბ) მოქალაქეთა განცხადებების განხილვა და საჯარო ინფორმაციის გაცემა;

გ) დეპარტამენტში შემოსული და გასული კორესპოდენციის რეგისტრაცია, სისტემატიზაცია და მისი ოპერატიული მიწოდება დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებისათვის;

დ) დეპარტამენტის მოხელეთა დანიშვნა-გათავისუფლების, შრომითი ხელშეკრულების, შვებულების, მივლინების დოკუმენტური გაფორმება, მოხელეთა

წახალისება და ადმინიტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების პროექტების მომზადება;

ე) მოხელეთა პირადი საქმეების შედგენა, შრომის წიგნაკების, ჩანართი ფურცლების აღრიცხვა-წარმოება;

ვ) დეპარტამენტის სისტემაში მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მოწმობების გაცემა და აღრიცხვა;

ვ) დეპარტამენტის უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

ზ) დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიური აღრიცხვა და მასზე პასუხისმგებლობა.

3. სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციებია:

ა) დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ბ) დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ იურიდიული კონსულტაციების გაწევა;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დეპარტამენტის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოში;

დ) იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთათვის კონსულტაციების გაწევა;

ე) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დეპარტამენტის თავმჯდომარის ურთიერთობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა.

4. დევნილთა განსახლებისა და სოციალური დაცვის განყოფილების ფუნქციებია:

ა) დევნილთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, სამუშაო გეგმის შესაბამისად, შემოსული წერილებისა და ინფორმაციის საფუძველზე არსებული მდგომარეობის შესწავლა და საკითხების მოგვარება, ასევე, დევნილთათვის შუამდგომლობის გაწევა, საქართველოსა და აფხაზეთის სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებთან, საქართველოს მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებთან;

ბ) დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური შესწავლა და დოკუმენტური აღრიცხვა;

გ) დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტების ტექნიკური ინვენტარიზაციის მონაცემთა ბაზის შექმნა.

5. ჰუმანიტარული დახმარების განყოფილების ფუნქციებია:

ა) დევნილთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახების, ინვალიდების, მარჩენალდაკარგულების, ობლების, უდედმამო ბავშვთა და დიდი სამამულო ომის ინვალიდთა ჰუმანიტარული დახმარების პროგრამების შემუშავება და სპონსორების მოძიება;

ბ) ჰუმანიტარული დახმარების განაწილება და მასზე კონტროლი;

გ) საზღვარგარეთ დასასვენებლად (ბანაკში) დევნილ ბავშვთა გამგზავრების ორგანიზება.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.